7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

7.1. დოქტორანტმა სწავლისა და კვლევის პროცესში 3 წლის (6 სემესტრის) განმავლობაში უნდა დააგროვოს 180 კრედიტისა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოსთვის 3 წელზე (6 სემესტრზე) უფრო ნაკლებ დროში, მაშინ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ.
დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.
7.2. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტს ეთმობა არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 კრედიტისა, დანარჩენი ეთმობა კვლევას.
7.3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით.
7.4 დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.